პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | კვირა, 6 დეკემბერი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

278 (976) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 | განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## სომხეთის წითელი დივიზიის არსებობის ხუთი წელი.

დღეს სრულდება ხუთი წელი, რაც საძირკველი ჩაეყარა სომხეთის დივიზიის არსებობას. დღევანდელი დღე დიდათ სასიხარულოა არა მარტო სომხეთის მშრომელი ხალხისათვის, არამედ მუშურ-გლეხური საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირისათვის. სომხეთის დივიზია ერთ-ერთი სახელოვანი ნაწილია მუშურ-გლეხური წითელი არმიისა. მისი ხუთი წლის ისტორია ამის საუკეთესო მტკიცებაა. მეტად ძნელი და მძიმე გზა განვლო სომხეთის დივიზიამ თავის არსებობის გზაზე.

ის დაიბადა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად სომხეთში. დანგრეული მეურნეობა, შიმშილი, გაღატაკებული მშრომელთა მასები—აი რა უანდერძა დაშნაკელებმა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ცხადია ასეთ პირობებში მეტად ძნელი იყო სომხეთის ეროვნული წითელი ჯარის შექმნა. სიღარიბე და სრული უსახსრობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა სომხეთის კომუნისტურ პარტიის მეთაურობით მუშებმა და გლეხებმა მაინც შესძლეს ეროვნული წითელი ნაწილების შექმნა.

ჯერ კიდევ სავსებით არ იყო ჩამოყალიბებული სომხეთის დივიზია, რომ მას უხდება ბრძოლა დაშნაკურ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. იშვიათი გმირული ბრძოლით ის ამარცხებს მტერს და სამუდამოთ უღებს მას ბოლოს.

ამის შემდეგ ის იწყებს გამალებულ მუშაობას თავისი საბრძოლო უნარის გასაძლიერებლად და თავისი რიგების განსამტკიცებლად.

საბჭოთა სომხეთის საერთო ზრდასთან და ეკონომიურ განვითარებასთან—მტკიცდება სომხეთის დივიზიაც. და დღეს ის წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო რაზმს დიდი წითელ არმიისა. სომხეთის წითელი დივიზია ერთგული დამცველია სომხეთის მუშების და გლეხების ინტერესების. მას მუდამ და ყოველთვის შეუძლია ღირსეული პასუხი გასცეს საბჭოთა სომხეთის მტრებს.

ქართული წითელი ჯარი მხურვალედ ულოცავს თავის მოძმე დივიზიას ხუთი წლის არსებობის თავს და უსურვებს მას შემდეგ მიღწევებს და წარმატებებს სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებაში და მისი რიგების გასალკლდევებაში.

**ვაშა სომხეთის წითელ დივიზიას!**

## რუმინეთის ჯალათების შურისძიება

რუმინეთი საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოა. მაგრამ მეტად მოუსვენარი და მტრულად განწყობილი ჩვენს მიმართ. რუმინეთში ბატონობენ კაპიტალისტები და თავადები, რომლებიც სასტიკად სდევნიან მუშებს და გლეხებს. მშრომელი გლეხობა იქ საშინლად დაჩაგრულია, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. საუკეთესო მიწები მემამულეების ხელშია.

გაღატაკებულ გლეხობას, რომელიც თავის საყოფ-სარჩოს ძლივსღა იწევს, რუმინეთის რეაქციონური მთავრობა უმძიმეს გადასახადებს ადებს. ასევე ყველგან მუშებს, რომლებსაც ყოველგვარი უკმაყოფილების გამოთქმისათვის მყისვე აგდებენ ციხეში და ალპობენ შიგ.

რუმინეთი როგორც ვსთქვით დაუძინებელი მტერია საბჭოთა კავშირის. და ეს ბუნებრივიცაა.

სამოქალაქო ომის დროს მან ძალით მიისაკუთრა საბჭოთა კავშირის ერთი ნაწილი—ბესარაბია, რომელიც დღემდი მის ხელში იმყოფება.

ბესარაბიის მშრომელი ხალხი სულით და გულით მოწადინებულია განთავისუფლდეს რუმინეთის თავადების მონობისაგან და დაუბრუნდეს საბჭოთა ქვეყნების ოჯახს.

ამიტომაც არის, რომ რუმინეთის მთავრობა სასტიკად სჩაგრავს ბესარაბიას და მძიმე მონობის უღლის ქვეშ ყავს ის. საბჭოთა მთავრობამ მიმართა რუმინეთს საყოველთაო არჩევნებით გადაწყვეტილიყო ბესარაბიის ბედი. მაგრამ მტაცებელმა რუმინეთმა სასტიკი უარი განაცხადა.

ბესარაბიის მშრომელმა გლეხობამ ვერ აიტანა რუმინეთის თავადების ძალადობა და მოახდინა აჯანყება. მაგრამ აჯანყება თავიდანვე მოუწყობელი აღმოჩნდა, გამოვიდნენ მხოლოდ რამოდენიმე სოფლების გლეხები, მათ შორის ტატარბუნარიც.

რუმინეთის პირსისხლიანმა მთავრობამ შესძლო ამ აჯანყების დამარცხება და სასტიკი შური იძია აჯანყებულების წინააღმდეგ. უფრო მეტად ამუშავდა რუმინეთის ჟანდარმერიის მათრახი. გაცოფებულმა მთავრობამ პირდაპირ ნადირობა მოაწყო მეამბოხეებზე.

მრავალი ახი ბესარაბიელი იქმნა წამებული, დახვრეტილი, ჩამოდრჩობილი. რუმინეთის ციხეები აივსო ბესარაბიის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებით.

ტატარბუნარის აჯანყების მონაწილეები რუმინეთის მთავრობამ დააჯინა სასამართლოს სკამზე. ოთხი თვე ასამართლებდენ რუმინეთის ჯალათები იმ ხალხს, რომლებმაც განიზრახეს მტარვალის ხელიდან განთავისუფლება. რადიომ მოგვიტანა ცნობა, რომ როგორც იქმნა ეს გასამართლება დამთავრდა. მაგრამ რამდენი წვალება, რამდენი დაცინვა და უბედურება ხვდა წილად ტატარბუნარის მეამბოხეებს. ისინი გაასამართლეს დახურულ კარებში.

როგორც მოსალოდნელი იყო თავადების და ბურჟუების სასამართლომ მათ სასტიკი განაჩენი გამოუტანა.

ასე მხეცურად გაუმასპინძლდა ბესარაბიის ხალხს რუმინეთის მთავრობა.

მაგრამ ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ბესარაბიის მშრომელები სავსებით შეიგნებენ მწარე დამარცხების გაკვეთილებს. და შემდეგში, როცა ისინი კვლავ მიიტანებენ იერიშს რუმინეთის ავაზაკურ ხელისუფლების წინააღმდეგ, ისინი მომზადებულად და ორგანიზაციულად მტკიცე შეკავშირებული გამოვლენ.

მაშინ მათი გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### მუკდენი იაპონელი სამხედრო ძალების ხელშია.

### ჩჟან-ძო-ლინმა დაჰკარგა იაპონიის წყალობა.

#### გო-სუნ-ლინი სთხოვს იაპონიას დაიცვას ნეიტრალიტეტი.

თეთრგვარდიელი ნეჩაევი კვლავ ავსებს თავის ბრიგადას

— ქ. მუკდენი იაპონელების ხელშია. შესდგა ჩჟან-ძო-ლინის პირადი დამცველი რაზმი, იაპონიის ჟანდარმებისაგან.

— ჩჟან-ძო-ლინმა გადასწყვიტა გადასცეს მანჯურიის დაცვა იაპონელებს, რომლებიც იძლევიან ამ მიზნისთვის 80.000 ჯარის კაცს.

საერთო განწყობილება ჩჟან-ძო-ლინის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ ჯერჯერობით მას შველის იაპონიის ხიშტები.

— გენერალ გო-სუნ-ლინმა მიმართა იაპონიას, რათა უკანასკნელმა დაიცვას ნეიტრალიტეტი და ნუ ჩაერევა ბრძოლაში. იაპონიამ ეს მიმართვა უყურადღებოდ დასტოვა.

— იაპონიის სამხედრო მინისტრმა უკვე განაცხადა: ჩჟან-ძო-ლინმა დაჰკარგა იაპონიის მხრივ პატივისცემა. იაპონიას აღარ შეუძლია აწი მოუწონოს მას მილიტარისტული ზრახვები.

— იაპონიის გაზეთ „ასახის“ ცნობით გენერალ გო-სუნ-ლინმა დაამარცხა ჩჟან-სუე-ლიანის ჯარები, რომლებიც იხევდენ მუკდენისკენ.

— თეთრგვარდიელ ნეჩაევის ბრიგადის ნაწილი დამარცხების შემდეგ ჩავიდა მუკდენში. ნეჩაეველთა ერთი ნაწილი გაემართა მონღოლეთის შუაგულ ოლქებში საძარცვავად. თეთრგვარდიელთა ბრიგადა ივსება ახალი ძალებით.

## რაკოშისა და მისი ამხანაგების ახალი „ბოროტმოქმედებანი“

ბუდაპეშტის სასამართლომ (უნგრეთში) დანიშნა ახალი გამოძიება კომუნისტ რაკოშისა და მისი ამხანაგების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალს სდებენ სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ მოქმედებაში.

მათ წაუყენეს ახალ ბრალდებათა მთელი რიგი.

## საბერძნეთ—ბულგარეთის ინციდენტი.

საბერძნეთ-ბულგარეთის ინციდენტის გამოძიების შემდეგ ერთა ლიგის კომისიამ დაადგინა, რათა საბერძნეთმა აუნაზღაუროს ბულგარეთს ნივთიერი ზარალისათვის 20 მილიონი ლევი (ბულგარული ფული უდრის 37 ნახ. კაპიკს) და ექვსი მილიონი ადამიანის მსხვერპლისთვის.

## ოსმალეთი ემზადება მოსულის ძალით დაბრუნებისთვის.

ოსმალები ემზადებიან ძალად ჩაიგდონ ხელში მოსული იმ შემთხვევაში, თუ რომ ერთა ლიგამ გადასცა ის ინგლისს. ოსმალეთს ამისათვის მზად ჰყავს კარგად შეიარაღებული ჯარი დიდძალი ჰაეროპლანებით.

## განაჩენი თათარბუნარის საქმეზე

ბესარაბიაში დამთავრდა სამხრეთ-ბესარაბიის აჯანყებულ გლეხთა გასამართლება. ეგრეთ წოდებული თათარბუნარის პროცესი.

319 ბრალდებულთაგან 28 კაცი არ ყოფილა გასამართლებაზე, 7 გათავისუფლებულია პროცესის დროს, ორი კი გარდაიცვალა, მთავარ ბრალდებულს მიუსაჯეს სამუდამო იძულებითი სამუშაო, ორს 15 წლის ციხე, დიდ ნაწილს ნახევარი წლის. რამოდენიმე გათავისუფლებულ იქნა.

## კომუნისტების დევნა პოლონეთში

ვარშავში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს რამოდენიმე კაცი კომუნისტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

კერძო ცნობებით ლვოვში დააპატიმრეს რამოდენიმე პირი, რომლებიც მოსულან იქ ვითომ და დასავლეთ უკრაინის კონფერენციაზე.

## ლუნაჩარსკი საფრანგეთში.

საბჭოთა კავშირის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ლუნაჩარსკი ჩავიდა პარიზში.

# საბჭოთა კავშირში.

## საექიმო დახმარება სოფელს.

რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაძლიერებულ იქნას სოფლად საექიმო შემადგენლობა და მასთან უზრუნველყოფილ იქნან ისინი ჯამაგირითა და სხვა და სხვა შეღავათებით.

## უცხო სიტყვების ახსნა.

ენერგიული—ერთგული, მონდომებული, მტკიცე.
კილომეტრი—უდრის 467 საჟენს.
ლოზუნგი—მოკლედ გამოთქმული მოთხოვნილების, მიზნებისა და განზრახვების შინაარსი.
ბანდიტური—ყაჩაღური, ავაზაკური.
მატერიალური—ნივთიერი.
ბირჟა საქონლის—ადგილი სადაც სწარმოებს გარიგებები საქონელზე ნიმუშების მიხედვით.
მილიტარიზმი—სახელმწიფოს ცდა გააძლიეროს სამხედრო ძალა დაპყრობითი მიზნებისათვის.
ნეიტრალიტეტი—შუა ხაზის ალება, სხვის საქმეში ჩაურევლობა.

# დღეს სრულდება სომხეთის წითელი დივიზიის არსებობის 5 წელი.

## ძმური სალამი საბჭოთა სომხეთის მშრომელი ხალხის ერთგულ დარაჯს ქართულ წითელ დივიზიებისაგან.

## ԱՅՍՕՐ ԼՐԱՆՈՒՄ Ե ՀԱՅԿԱԿԱՆ ԿԱՐՄԻՐ ԴԻՎԻԶԻԱՅԻ ՀՆԳԱՄՅԱԿԸ

## ՑԵՂԲԱՅՐԱԿԱՆ ՎՈՂՋՈՒՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻ ՊԱՀԱԿԻՆ ՎՐԱՑԱԿԱՆ ԴԻՎԻԶԻԱՆԵՐԻՑ

## სომხეთის მსროლელ დივიზიის 5 წლისთავისთვის.

დივიზიამ უკვე გადაითვალა თავის დაარსებიდან მე-5 წელი; 5 წელი ბრძოლისა ჯერ საბრძოლო, შემდეგ შიმშილობისა და რღვევის ფრონტზე და ბოლოს უკანასკნელი 3 წელი ყოველდღიურ ცხოვრების, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან—სწავლების ფრონტზე,-აი სომხეთის მსროლელ დივიზიის ისტორია.

5 წლის უკან სომხეთის მშრომელებმა წამოისროლეს საბჭოების ლოზუნგი. ამ დროიდანვე ჩაეყარა საფუძველი სომხეთის წითელი ნაწილების ჩამოყალიბებას. დაახლოებით ერთი წელი გადის დაშნაკებთან სასტიკ ბრძოლაში.

დაშნაკთა გამოსვლები ჩაქრობილია, გმირულ მოქმედებათა დრო გადის, აღარ არის უკვე საბრძოლო ცხოვრების მიმზიდველი შემთხვევები და დღის წესრიგში დგება მშვიდობიან აღმშენებლობის საკითხი; დივიზია ხალისდება და მხურვალეთა და გულმოდგინედ იწყებს სამხედრო სწავლას.

სიძნელე და ნაკლოვანებანი მუშაობის დროს ოდნავადაც კი ვერ იწვევს სულით დაცემის ნიშანს, პირიქით, წარსულ დროთა აღფრთოვანება ძლიერდება და მტკიცდება ყოველდღიურ მუშაობაში. დივიზია, როგორც საბრძოლო ერთეული განაგრძობს თავის გაუმჯობესების საქმეს და მიუხედავად მთელ რიგ ძნელ პირობებისა, ჩვენ დღეს ვხედავთ ფრიად დიდსა და სერიოზულ მიღწევებს.



ამხ. მელიქ-შახნაზაროვი. სომხეთის მსროლელ დივიზიის უფროსი.

დივიზიის ნაწილების წინაშე სდგას ამოცანა: მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის სამხედრო და პოლიტიკურ დონის ამაღლება და წითელ არმიელ-მოქალაქის აღზრდა.

სამხედრო საქმე განუწყვეტლივ მიდის წინ და თვითეულ მეთაურისაგან მოითხოვს თავისი ცოდნის მუდმივ გაუმჯობესებას. მაგრამ ეს მეტად ძნელი საქმეა იმ პირობებში, რომელშიაც იმყოფება სომხეთის დივიზია: ბევრს არ აქვს საშვალება გაიაროს სამხედრო სკოლა, მცირედია სამხედრო ლიტერატურა სამშობლო ენაზე, ხოლო ბევრმა კი რუსული ენა არ იცის, რომ რუსული გამოცემებით ისარგებლოს.

ვწრთვნით რა წითელ არმიელს, ჩვენ ვქმნით მისგან მებრძოლს, რომელსაც ეცოდინება არა მარტო შაშხანა და ტყვიამფრქვევი, არამედ ტეხნიკის მიღწევებიც, მებრძოლს, რომელიც შეგნებულად ასრულებს თავის მოვალეობას,—ნამდვილ ლენინიზმის სკოლა გავლილ მებრძოლს. ყველაფერი ამის შესრულება მეტად ძნელია ისეთ პირობებში, სადაც წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი დიდია და ზოგიერთ მთის რაიონების მოსახლეთა განვითარების დონე დაბლა სდგას. მიუხედავად ამისა ბევრი უკვე გაკეთებულია და ბევრიც უნდა გაკეთდეს დივიზიის საბრძოლო ძლიერების ასამაღლებლად.

შეიძლება ღრმად დაიმედებული ვიყოთ, რომ მე-6 წლის თავზე დივიზია იქნება უფრო ძლიერი, უფრო შეიარაღებული შეგნებით. ამაში გვარწმუნებს ჩვენ წინა—მდებარე ამოცანების შეგნება და დიდი ენერგია და ძალა მუშებისა და გლეხების წარმომადგენლების, რომლებიც მოწოდებული არიან ახალი ცხოვრების ასაშენებლად.

სლავნიკოვი.

## სომხეთის დივიზიის ბრძოლის დღეები

დღეს, ექვს დეკემბერს სრულდება ხუთი წელი იმ დღიდან რაც რომ შედგენილი იქნა სომხეთის წითელი არმია და შეუდგა იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც წილად ხვდა მას.

ერთი კვირის უკან სომხეთის დივიზიის დაარსების დღემდი საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ არ შეეძლო ფეხზე მტკიცედ დგომა. მართლადაც ძნელი იყო გამაგრება, როცა ქვეყანა იმყოფებოდა საზღაპრო მძიმე პირობებში.

და აი ამ პირობებში, როცა დანგრეული იყო სოფლები სომხეთის დაშნაკური ბურჟუაზიული მთავრობის ძმათა სისხლის მღვრელ და ეროვნულ ომების წყალობით, როცა მოსახლეობის გაღატაკებამ უკიდურეს საზღვრებს მიაღწია, როცა შიმშილი, სიცივე და გადამდები ავადმყოფობანი სცელავ და სომხეთის მშრომელებს, როცა ყაჩაღი-ბანდიტებისაგან შემდგარი დაშნაკების ეგრედ წოდებული „არმია“ იხრწნებოდა და მასში მყოფი გლეხები ჯგუფ-ჯგუფად გარბოდენ სოფლად, აი ამ პირობებში შექმნილ იქნა სომხეთის წითელი არმია.

თავისი რიგების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის მუშაობის წარმოება მას არ შეეძლო, ვინაიდან დაშნაკები, რომლებმაც წააგეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან, მაინც ჰფიქრობდენ თავიანთი ბატონობის დაბრუნებას და აწყობდენ ბანდიტურ გამოსვლებს.

და პირველი დღიდანვე სომხეთის წითელ არმიას მოუხდა შაშხანით ხელში გამოსულიყო აშკარა ბრძოლაში კონტრრევოლიუციის წინაამდეგ.

მას მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად და ღირსეულად გამოვიდა ამ ბრძოლებიდან.

მან 1921 წლის სასტიკ ზამთარში 40 დღე გაატარა კამარლინის ფრონტზე. საშინელი სიცივე, შიმშილი, წამება და გაჭირვება, ძნელი ლაშქრობანი და საბრძოლო მასალების უქონლობა; შემდეგ სამი თვე ზანგეზურის გაუვალ და მიუდგომელ მთებში—აი როგორ პირობებში უხდებოდა მას მოქმედება. სომხეთის წითელმა არმიამ ღირსეულად აასრულა სასტიკ პირობებში თავისი ამოცანა და დაიცვა მუშებისა და გლეხების ხელისუფლება.

მხოლოდ 1921 წლის მიწურულიდან მიეცა მას საშვალება შესდგომოდა მშვიდობიან ცხოვრებასა და სწავლას.

ამ მიზნისთვის მისთვის აუცილებელი იყო პირველყოვლისა ეწარმოებია ბრძოლა სენთა წინააღმდეგ, რომლები[ც] ნაადერძევი იყო დაშნაკების მ[მართველობისა]გან: ეს იყო დეზერტირობა, ს[ა]ბინძურე, ანტი-სანიტარული პ[ი]რობები და მრავალი სხვა.

ყველა ამ ფრონტებს ის წ[ი]თელ არმიას ჩვეულ გადამ[ეტებუ]ლი ნაბიჯით გამოვიდა [და] ბრწყინვალე შედეგებს მიაღწი[ა].

შემდეგ თავი იჩინა ახა[ლი] ფრონტებმა—წერა-კითხვის უ[ც]ოდინარობამ, პოლიტუცოდ[ი]ნარობამ და წითელ არმიელთ[ა] მატერიალურ ნაკლოვანებებ[მა].

ეს დაბრკოლებანიც ჩვენ[ი] ნაწილების განვითარებისა [და] გაძლიერების გზაზე მოსპობი[ლ] და განდევნილ იქნა.

თავისი არსებობის მე-6 წ[ლის] დასაწყისში სომხეთის დივიზი[ა] ისახავს მიზნად—კიდევ უფრ[ო] გააძლიეროს და განამტკიცო[ს] თავისი რიგები, რათა კარგ[ი] მდგომარეობიდან კიდევ უკ[ე]თეს მდგომარეობაში გადავიდ[ეს].

მეორე მხრივ უწევს რა ა[ნ]გარიშს მომენტის სერიოზულობას, ფხიზლად ადევნებს თვალყურს ევროპის პოლიტიკურ ამბებს, რომლებიც სავსე საფრთხეებით, ის მუდამ მზ[ა]დაა შესწიროს თავისი ძალ-ღ[ო]ნე საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ა. მარუთიანი

## ნაწყვეტი სომხეთის სამოქალაქო ომიდან.

1921 წლის მარტის თვე იდგა. საბჭოთა სომხეთის წითელი ჯარები გამაგრებული იყვენ სამშობლო ქვეყნის სამხრეთ ნაწილში არარატის მთის მახლობლად რკინისგზის სადგურთან. ზურგით სპარსეთის ტერიტორია იყო, რომელიც ეჭირათ ოსმალებს. ოსმალები იმ დროს ვერ იყვნენ მეკობრულ განწყობილებაში საბჭოთა სომხეთთან. საჭირო იყო როგორც არ უნდა დამჯდარიყო ქ. ერევანის დაკავება და დაშნაკთა აჯანყების ლიკვიდაცია. ჯარებს სურსათი ელეოდა, შემცირდა აგრეთვე ჰურვები და ვაზნები. ერევანზე ხშირი შემოტევა სისხლისმღვრელ ბრძოლებს იწვევდა, ვინაიდან დაშნაკების გაავთრება უკანასკნელ საზღვარს აღწევდა. წითელი ნაწილები რამოდენიმეჯერ მიიჭრენ ახლოს ერევანთან (4—5 ვერსზე) და დაანგრიეს გამაგრებული ქალაქის განაპირა ადგილები. მაგრამ დაშნაკებს ხელთ ჰქონდათ დიდძალი აუცილებელი მასალა, ადვილად აღდგენდენ დანგრეულ სიმაგრეებს და განაგრძობდენ ენერგიულ თავდაცვას სამხრეთით, დელიჟან-ელენოვკასა და სიატაკის გადასავლის მხრივ სომხეთის ჯარებს პირველ ხანებში ძმურ დახმარებას უწევდა საბჭოთა ჯარები. მაგრამ ამ დახმარებამ ვერ იქონია არსებითი გავლენა დაშნაკთა გამოსვლების ჩაქრობაზე, ვინაიდან სასტიკი ყინვები და დიდი თოვლი ძალიან უშლიდა ხელს შეტევის წარმოებას.

ამრიგად სომხეთის წითელი ნაწილები მეტად მძიმე პირობებში იყო. ეს პირობები განსაკუთრებით გართულდა მარტში, როცა საგრძნობი გახდა პურის სიმცირე. მეზობელ სპარსეთში შეიძლებოდა პურის, ხორცისა და სხვა სურსათ—სანოვაგის შეძენა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ფული, საჭირო იყო ოქრო, ხოლო ასეთი ჯარებს არ მოეპოვებოდა.

რადიო—სადგურის შემწეობით სომხეთის წითელ შტაბს კავშირი ჰქონდა მე-XI არმიის შტაბთან (დღეს—კავკასიის წითელ დროშოვანი არმია). მართალია ეს კავშირი ყოველთვის ვერ იყო საიმედო, ვინაიდან სადგურს შეეძლო მუშაობა სულ რაღაც 250 კილომეტრზე, და მასთან მისი მუშაობა ისმოდა ხშირად ბაქოსა და ტფილისის სადგურებზე. ამას გარდა ბენზინის უმნიშვნელო მარაგი დაიხარჯა და მოუხდათ სადგურის ამუშავება სპირტით, რომელსაც ხდიდენ შინაური წესით კამარლინის ღვინისაგან. ამანაც გავლენა იქონია რადიო სადგურის მუშაობის წარმატებაზე. მაგრამ მაინც ახერხებდენ მიეღოთ ყოველდღიურად უფრო საყურადღებო ცნობები და გადაეცათ ასეთები თავიანთ მდგომარეობის შესახებ.

ერთხელ მეთერთმეტე არმიის შტაბმა მოიწერა გამოეძებნათ და აღენიშნათ მოედანი ჰაეროპლანის დასაშვებად, რომელიც მოიტანდა მნიშვნელოვან განკარგულებებსა და საჭირო სახსარს სურსათ-სანოვაგის შესაძენად. არაჩვეულებრივი ენერგიით შეუდგენ ამ მუშაობას. მალე მიიღეს ცნობა ჰაეროპლანის გადმოფრენის დღეზე.

ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მოუთმენლობით ელოდენ ჰაეროპლანის გამოჩენას. ყველას ცისკენ ჰქონდა მიპყრობილი თვალები. და აი ბოლოს ვიღაცამ შენიშნა ცაში პატარა „ფრინველი“, რომელიც მოფრინავდა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიიდან. მთელი ფრონტი გამოაღვიძა აღტაცებულ „ურა“-ს ძახილმა. ეს იყო ისეთი ძლიერი, ხმამაღალი „ურა“ რომ დაშნაკებმა შიშით ასტეხეს უწესრიგო სროლა წითელი ჯარებისა და თვითმფრინავისაკენ, მაგრამ ის ისე მაღლა იყო, რომ ტყვია ვერ სწვდებოდა. თვითმფრინავმა უკვე გადმოიარა ორივე მოპირდაპირის წინა პოზიციები, ხოლო დაშნაკები ისევ-ისე განაგრძობდენ სროლას და დიდხანს ვერ დამშვიდდენ.

სიხარული აუწერელი იყო. ყველას პირველად გაუღიმა პირმა. 40 დღის განმავლობაში, ყველა ერთი მეორეს ულოცავდა. თვით უიმედო პირებსაც კი მოეცათ იმედი და გამხნევდენ.

თვითმფრინავი მშვიდობიანად ჩამოეშვა ძირს და თან მოიტანა ყველაფერი, რაც საჭირო იყო.

და აი, ჩვენი დროის ამ დიდი ტეხნიკური მიღწევის მეოხებით, როგორიცაა რადიო და თვითმფრინავი, სომხეთის წითელი ნაწილები, რომლებიც შემდეგში შეიქნა სომხეთის რესპუბლიკის წითელი არმიის ბირთვი, გამოვიდა მძიმე მდგომარეობიდან და თავიდან აიშორა შიმშილობის საფრთხე.

პ—ი.

## შეისწავლე სამხედრო საქმე

### გუშაგი და მისი მოვალეობანი.

სახალხო ქონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ინიშნება განსაკუთრებული სამხედრო გუნდები. ასეთ გუნდს ყარაული ეწოდება.

ყარაულის შემადგენლობიდან საგუშაგოზე ინიშნება თითო კაცი, რომელსაც გუშაგი ეწოდება. გუშაგი არის წითელი არმიელი, რომელიც დაყენებულია საგუშაგოზე განსაზღვრულ ამოცანით—დაიცვას, რაც აბარია. ის რაც მას აბარია, წარმოადგენს საგუშაგოს, რომელიც უნდა ჩააბაროს გუშაგმა წესრიგზე შემდეგ ცვლას.

გუშაგის მოვალეობაა: იდგეს (სადაც ნება დართულია—იჯდეს) იარაღით და თვალყური ადევნოს ყველაფერს, რაც აბარია. ყარაულის უფროსის ან განმრინებელის ნებადაურთველად მას არ შეუძლია წავიდეს საგუშაგოდან, თუნდაც აუცილებელი სიკვდილიც მოელოდეს.

საგუშაგოზე გუშაგს არ შეუძლია: იძინოს, სჭამოს, თამბაქო მოსწიოს, იმღეროს, ელაპარაკოს კერძო პირებს, მიიღოს შესანახად რაიმე ნივთი იმ პირთაგან, რომელთაც არ აქვთ უფლება მისცეს მას განკარგულება, მას უფლება არ აქვს დაიკმაყოფილოს საგუშაგოზე ბუნებრივი მო[თ]ხოვნილება და გააკეთოს ყ[ვე]ლაფერი ის, რაც ხელს შეუ[შ]ლის მას საგუშაგოზე ფხიზლ[ად] თვალყურის დევნებაში.

გუშაგს უფლება აქვს სა[ჭი]როების დროს იხმაროს იარ[ა]ღი:

1) როცა საგუშაგოს თა[ვს] ესხმიან ბოროტგანმზრახვეღ[ე]ბი, 2) როცა მას თავს ესხმია[ნ], 3) როცა გარბის პატიმარი [და] სხვაფერ მისი დაკავება შეუ[ძ]ლებელია.

საგარნიზონო სამსახურ[ის] გუშაგის მოვალეობა დიდი [და] საპასუხისმგებლოა. ამიტ[ომ] ახალგაზრდა ჩემმარი რაც [შე]იძლება გულმოდგინეთ უნ[და] დაეწაფოს ამ განყოფილებ[ის] შესწავლას, რათა გუშაგობ[ის] დროს არ ჩააგდოს საფრთხ[ეში] მთელი ყარაული და თავ[ისი] თავი.

საყარაულო წესრიგის დ[არ]ღვევისთვის სასამართლოს წ[ი]ნაშე პასუხისმგებელია არა [მა]რტო გუშაგი, არამედ მთე[ლი] ყარაული. ამიტომ საგარნიზ[ო]ნო სამსახურის შესწავლ[ას] ახალწვეული რაც შეიძლ[ება] სერიოზულად და ერთგულ[ად] უნდა მოეპყრას.

ი. ზ.

# ცალკე მესანგრე ასეულის სამი წლის თავი.

## ჩვენი სალამი.

მესანგრე ასეული დღეს ზეიმობს თავის არსებობის სამი წლის თავს. მას თვალ წინ უდგას ყოველივე წარსული... დღეს ნაწილი იგონებს იმ ამხანაგებს, რომლებიც ნაწილის დაარსების დღიდან სათავეში უდგნენ მას და იზიარებდნენ მის ჭირსა და ლხინს. მას მესვეურობდა ორი ამხანაგი, რომლებმაც უკანასკნელ დრომდე ღირსეულად მიიყვანეს ნაწილი. ესენი არიან ყოფილი ასეულის მეთაური ამხ. ყუბანეიშვილი და სამხკომი ამხ. ჯავახოვი.

დღეს ნაწილის დღესასწაულთან ერთად ჩვენ ვიგონებთ მათ და მიულოცავთ სამი წლის არსებობის თავს. ჩვენ გვრწამს, რომ ის ამხანაგებიც მოიგონებენ ჩვენს ნაწილს და არასოდეს არ დაივიწყებენ.

გაუმარჯოს ყოფილ ნაწილის მეთაურს ამხ. ყუბანეიშვილს და სამხკ. ამხ. ჯავახოვს.

წ. არმ. „მესანგრე".

## მჭიდრო კავშირით.

1-ლი მესანგრე ასეული.

7 დეკემბერს ჩვენი ასეული განსაკუთრებული სიხარულით იხდის თავის არსებობის სამი წლის თავს, რადგან საშვალება გვეძლევა ახალწვეულ ამხანაგებს დაუმტკიცოთ, თუ რამდენად ძვირფასია ჩვენთვის ეს ნაწილი და რამდენად აფასებდენ მას ძველი წითელ არმიელები.



ამხ. ბ. ჯიქია.
1-ლი ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის მეთაური.

გასულ წლებთან შედარებით წელს უფრო შეგნებული არმიელი—ახალწვეულები მიიღო მან. ყველა წერა-კითხვის მცოდნე და სათანადო მომზადებულებიც არიან. სამი წლის თავზე ნაწილს კიდევ უფრო შეუძლია იამაყოს ამ გარემოებით. ახალგაზრდები სიხარულით ებმებიან ყოველგვარ საქმიანობაში. ენერგიული მეთაურები კიდევ უფრო უწყობენ ხელს ამ გარემოებას. ისინი ყოველთვის წითელ არმიელებთან არიან და მათ უდგიან გვერდში ჭირსა და ლხინში.

7 დეკემბერს ახალწვეულებთან ერთად ჩვენ დავდებთ ფიცს რათა ვეცადოთ დავიმსახუროთ ჩვენი ღირსეული ნაწილის ღირსეული მხედრის სახელი და კიდევ უფრო ავწიოთ მისი სახელი.

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს;

გაუმარჯოს ჩვენი ნაწილის მომავალ ნაყოფიერ მუშაობას.

წ. არმ. ლეო.

## 1-ლი ცალკე მესანგრეთა ასეულის არსებობის სამი წელი.

7 დეკემბერს 1-ლი ცალკე მესანგრე ასეული დღესასწაულობს თავისი არსებობის სამი წლის თავს იმ დღიდან, როდესაც ის შევიდა ქართულ დივიზიის შემადგენლობაში, როგორც ცალკე ნაწილი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წელს თბილისში შესდგა ე. წ. მესანგრე ათასეული—ორი ასეულის შემადგენლობით. ათასეულს მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში უხდებოდა მოქმედება და ორგანიზაციული ჩამოყალიბება, იმავე წლის შემოდგომაზე ეს ათასეული გადაკეთდა საინჟინერო ლეგიონად, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ორი ათასეული—მესანგრე და საკავშირო. არც ამ ნაწილს უარსებნია დიდხანს. 1922 წლის გაზაფხულზე ლეგიონს ეწოდა საინჟინერო ათასეული—სამი ასეულის შემადგენლობით: 2-რი მესანგრე და ერთი სატელეგრაფო. აქედან საერთოდ გამოკეთდა მდგომარეობა. წითელ ჯარსაც დიდი ყურადღება მიექცა, რამაც გამოიწვია შეგნებული დისციპლინის განმტკიცება და ბოლო მოეღო დეზერტირობას.



ამხ. ს. ახობაძე.
1-ლი ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის სამხედრო კომისარი.

1922 წელში მოხდა ქართული ნაწილების მთავარი დაყოფა. ხსენებული ათასეულიც დაიყო ორ ცალკე ნაწილებათ მესანგრე და საკავშირო ასეულებად. ეს მოხდა 7 დეკემბერს და აქედან დაიწყო ჩვენი ნაწილის ცალკე არსებობის ისტორია.

სამი წლის განმავლობაში ასეული საკმაოდ ჩამოყალიბდა და დღეს სხვა ქართულ ნაწილებთან ერთად თავისი ღირსების სიმაღლეზე სდგას და ეწევა საერთო მშრომელთა ხელისუფლების საკეთილდღეო მუშაობას.

ნაწილის არსებობის სამი წლის თავზე ჩვენ ერთხელ კიდევ ვიძლევით ფიცს, რომ მთელი ჩვენი ძალღონით შევეცდებით პირნათლად შევასრულოთ მუშური ხელისუფლების ყველა დავალებები და საჭიროების დროს ჩვენი მკლავის ძალაც ვაჩვენოთ საბჭოთა ხელისუფლების გათავხედებულ მტრებს.



სამხკორი ლ. გიორგაძე

## მუშები ჩვენთან არიან.

მე-6 ლეგიონი.

თბილისის რკინის გზის მუშები არ გვაკლებენ თავის მზრუნველობას. ამ ამხანაგებმა საერთო ტერშეკრების დროს ჩაგვაბარეს დროშა და მიიღეს ჩვენზე შეფობა.

გამოგვიწერეს უამრავი ჟურნალ-გაზეთები. ახლო წარსულში აღნიშნული სახელოსნოების კულტგანყოფილებისაგან შემუშავებულ იქნა ჩვენთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების გეგმა, სადაც აღნიშნულია მათთან ერთად გაერთიანებული ძალებით მოეწყოს საღამო, ექსკურსიები, მოეწყოს მათთან სამხედრო კუთხეები, ჩატარდეს სამხედრო თემებზე ლექციები და მრავალი სხვა.

ამ მიზნით ჩვენი კლუბის გამგეობის წევრი შეყვანილ იქნა მათი კლუბის (პლეხანოვის კლუბის) გამგეობაში.

ამხანაგო მუშებო თქვენ ჩაქუჩით ხელში იყავით, მედგრათ გასჭედეთ ჩვენი მომავალი ბედნიერება და ჩვენ კი წითელი ხიშტებით ვიქნებით ოქტომბრის მონაპოვრის სადარაჯოზე.

სამხკორი ე—ლი.

## პირველი პოლიტსაათი.

4-ხე ლეგ. 9-რე ასეული.

ჩვენი ასეულის ახალწვეულებთან 30 ნოემბერს იქნა ჩატარებული პირველი პოლიტსაათი. სულგანაბული უსმენდენ ამხანაგები პოლიტხელის სიტყვებს. პირველ პოლიტიკურ საუბარმა არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

ბევრმა აქტიური მონაწილეობაც კი მიიღეს შეკითხვებით, რამაც შთაბეჭდილება უფრო გაადიდა.

აქედანვე სჩანს როგორი ინტერესით მოეკიდებიან ამხანაგები პოლიტცოდნის შეძენის საქმეს.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## დავიწყეთ მეცადინეობა.

მე-4 ტერლეგიონის მე-2 ათასეული.

რამოდენიმე დღეა, რაც ჩვენს ათასეულში მოვიდნენ ლეგიონიდან 1903 წელში დაბადებული ახალწვეულები. მიუხედავათ იმისა, რომ ლეგიონიდან სამოსწავლო პროგრამა არ მიგვიღია, ჩვენ მაინც შეუდექით მათ მომზადებას, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურათ. ახალწვეულებზე მიმაგრებულნი არიან რამოდენიმე მეთაურები, რომლებიც სისტემატიურად ატარებენ მეცადინეობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალწვეულები დიდი ენერგიით ეკიდებიან ცოდნის შეძენას და დიდათ მოხარული არიან წითელი არმიის რიგებში სამსახურით.

ლ. ჭელიძე.

## ჩვენი სამხ. სამეცნიერო წრე.

მე-4 ლეგიონი.

28 ნოემბერს მოხდა ლეგიონის სამხედრო—სამეცნიერო წრის ყველა სექციების გაერთიანებული კრება, რომელზედაც დასმული იყო საკითხი წვევამდელთა შორის მუშაობის შესახებ.

ამ საკითხზე საერთო ხასიათის მოხსენება გააკეთა ლეგმეთაურმა ამხ. ბელოვმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო წრის მუშაობის ყველა მხარეებს ზოგადათ. თანამომხსენებლათ გამოვიდნენ: პარტ-ბიუროს მდივანი ამხ. ტაბუცაძე და შტაბის უფროსი ამხ. ბერუჩაშვილი.

პირველი დაწვრილებით შეეხო პოლიტ-მუშაობას წვევამდელთა შორის, ხოლო მეორე სამწყობრო პროგრამას. მოხსენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა რომელმაც გამოარკვია მრავალი ბუნდოვანი საკითხები.

მიმდინარე საკითხებში იდგა „გაზეთ წ. არმიელის" გამოწერის შესახებ. ლეგთავის განცხადებით ლეგიონი იწერს თავის ხარჯზე 20 ცალ გაზეთს. კრებამ დაადგინა რათა ლეგიონის უფ. პოლიტ. შემადგენლობამ გამოიწეროს გაზეთი „წ. არმ." და ხელი შეუწყოს მის გავრცელებას.

სამხკორი სან. მანი.

# წვევამდელთა მზადების წერტებზე.

## წვევამდელთა ყოფა-ცხოვრებიდან.

მეორე არტლეგიონი.

ჩვენ 1904 წელში დაბადებულები, სათანადო განკარგულების გამოცემის თანავე შევიკრიბეთ წვევამდე მზადების წერტებზე, გავტარდით კომისიებში და 1 დეკემბრიდან კი დაიწყო სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა.

ამ ჟამად ყველა ჩვენთაგანმა იცის, თუ რატომ გვიწვევენ მზადების წერტებში და რა ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობა წვევამდელთა მომზადებას.

ჩვენ ვიცით, რომ რამდენათაც კარგ დონეზე იქნება დაყენებული წვევამდელთა მზადების საქმე, იმდენად უფრო მაღალ დონეზე იქნება დაყენებული საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმე.

ჩვენი ნაწილის წვევამდელები ფიცსა ვსდებთ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ ჩვენ კარგად შევისწავლით სამხედრო-პოლიტიკურ საქმეს და შემდეგში ღირსეულად შევავსებთ წითელი არმიის რიგებს.

ამ წელში ჩვენ უფრო კარგ პირობებში გვიხდება ჩვენი მოვალეობის შესრულება. წარსულ წელში ბევრი რამ გვაკლდა. ამ წელში საუკეთესო პირობებია მუშაობისათვის და ჩვენც ერთგულად ვეკიდებით საქმეს. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ წვევამდელებს უკვე შეგვასწავლეს, თუ როგორი ბრძოლით მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეს თავისუფლება, ჩვენ მტრები ბევრი გვყავს და ყოველთვის დროს უცდიან, რომ მოხერხებულ პირობებში დაგვესხან თავს და კვლავ გაბატონდენ მუშებისა და გლეხების ზურგზე. რომ ყოველივე ეს არ მოხდეს, ამისათვის საჭირო იქნება მძლავრი წითელი არმია. ჩვენც წვევამდელები ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ წითელი არმიის განმტკიცება—გამაგრების საქმეს.

კ. კერესელიძე.

## ახკომკავშირელთა შორის მზადების წერტებზე.

მეორე არტ-ლეგიონი.

დღიდან წვევამდელთა მზადების დაწყებისა, წვევამდელთა შორის მიერ დაწყებულ იქნა ნორმალური მეცადინეობა. ამ ჟამად ჩვენს წერტზე უკვე ჩამოყალიბებულია ახკომკავშირის ჯგუფები. არჩეულია ბიურო-კოლექტივიც, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს წერტებზე არსებულ კომკავშირის ჯგუფებს. გარდა ამისა ბიურო-კოლექტივმა უკვე გამოიმუშავა სათანადო გეგმა წერტზე კედლის გაზეთის გამოსაშვებად, სხვა და სხვა წრეების მოსაწყობად, პოლიტ-მეცადინეობისათვის და სხ. წვევამდელი ახკომკავშირელები და პარტწევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ყოველგვარ მუშაობაში.

კ. კერესელიძე.

## ახალწვეულები იმედს იძლევიან.

მეთაურთა სამხედრო სკოლა.

28 ნოემბერს მეთაურთა სკოლის სამწყობრო გუნდიდან გაშვებული იქნენ შვებულებაში გუნდის წითელ არმიელები, რომელთა ადგილი დაიკავეს კარანტინიდან გადმოყვანილ ახალწვეულებმა. ამხანაგებთან პირველ დღესვე გავმართეთ საუბარი წითელ ყაზარმის წესების, მისი ყოფა ცხოვრებისა და სხვათა შესახებ, რაზედაც ამხანაგები გულმოდგინეთ გვისმენდენ. შამოჰქონდათ სხვა და სხვა ხასიათის შეკითხვები მოითხოვდენ ყოველმხრივ ახსნა განმარტებებს.

დარჩენილი ძველი წითელ არმიელები უხსნიან ამხანაგებს ყაზარმული ცხოვრების თავისებურებას და იმას თუ რამდენი სხვა და სხვა ცოდნისა და გამოცდილების შეძენა შეიძლება აქ. ახალწვეულების ასეთი დაინტერესება იმედს იძლევა, რომ ისინი წითელი არმიელები იქნებიან.

წ. არმ. დინჯელი.

## ორი მოხსენება.

მეთაურთა სკოლა.

3 დეკემბერს სკოლის კლუბში შესდგა მთელი შემადგენლობის კრება, რომელზედაც სკოლის ლექტორები გამოვიდენ მოხსენებებით.

პირველი მოხსენება ამხ. გობრონიძის, შეეხებოდა სკოლის ყველა ასეულებში სამხედრო სამეცნიერო წრეების დაარსების შესახებ.

მეორე მოხსენება გააკეთა ამხ. გორგაძემ საქართველოს ეკონომიურ სიმდიდრეთა შესწავლის შესახებ. მოხსენებაში ამხანაგი განსაკუთრებით ვრცლად შეეხო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეთა რაოდენობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში. მოხსენება ძლიერ საინტერესო იყო და კურსანტები ძლიერ ყურადღებით ისმენდენ.

სასურველია ჩვენი ლექტორები ხშირად წაგვიკითხავდენ ასეთი ხასიათის ლექციებს, რომ მთლიანად შევისწავლოთ ჩვენი ქვეყანა და შესაფერი წარმოდგენა გვქონდეს მასზე.

ახკორი გ. ბალდადელი.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წ. არმიელს“ ორი თვით და მასთან ვიწვევ შემდეგ ამხ. 1-ლი საარტილერიო ლეგიონიდან: 1. ლეგ. თავს ამხ. მგალობლიშვილს, 2. სამხკომს ამხ. დემიტრაშვილს, 3. დივიზიონ. უფროს ამხ. ტაროშვილს, 4. სამნეო დარგის უფროსს ამხ. ანდრონიკაშვილს, 5. შტაბის უფროს ამხ. ხევსურიანს, 6. შტაბის საქმის მწარმოებელს ამხ. დავიდოვს, 7. ხაზინადარს ამხ. ნიკურაძეს, 8. ბიურო-კოლექტივის მდივანს, 9. ლეგიონის კ. კ. ორგანიზატორს ამხ. ცაგარეიშვილს, 10. პოლიტხელს ამხ. ცხადაიას, 11. პოლიტხელ ამხ. ჭაიას, 12. პოლიტხელ ამხ. როსნაძეს, 13. პოლიტხელს ამხ. ნოზაძეს, 14. მასწავლებელ ამხ. ნიჟარაძეს, 15. მასწავლებელ ამხ. ორმოცაძეს, 16. კლუბის უფროს ამხ. წითლანაძეს, 17. დრამწრის ხელმძღვანელს ამხ. არველაძეს, 18. ბიბგამგეს ამხ. ჩიჩუას, 19. ბატარეის უფროს ამხ. სულიკაშვილს, 20. ბატარეის უფროს ამხ. ყაზიშვილს, 21. ბატარეის უფროს ამხ. ზნამენსკის, 22. მე-4 ბატარეის პოლიტ-ხელს ამხ. ხუჭუას, 23. მეთაურს ამხ. ქვათაძეს, 24. მეთაურს ამხ. ელიოზიძეს, 25. მეთაურს ამხ. ბაბალაშვილს, 26. მეთაურებს: დანდუროვს, 27. ტარიელაშვილს, 28. კვირაიას და მაღალაშვილს, და 29. უფროს მეთაურს შკოლიდან ამხ. ლოლუზაშვილს.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## უცხოეთის არმიებში

**იტალია ემზადება საზღვაო ომისათვის.**

იტალიის საზღვაო სარდლობა ყოველ ზომებს მიმართავს, რათა სახელმწიფოს საზღვაო სანაპიროები შესაფერად გაამაგროს მომავალ მოსალოდნელ ომისათვის. დიდ საომარ ერთეულების აგებასთან ერთად იტალიის საამირბარო (საზღვაო სარდლობა) იძენს აგრეთვე უფრო მცირე—დამხმარე საზღვაო ძალებს (გემებს), რომლებიც საზღვაო თავდაცვის დროს ძლიერ დიდ დახმარებას გაუწევენ სახელმწიფოს.

ამის გარდა დიდი ყურადღება ექცევა ნაღმგადამლობების საგრძნობი რიცხვის დამზადების საქმეს.

დამხმარე დანიშნულების გემთა არსებობა—კარგად დაყენებულ სანაპირო თავდაცვასთან ერთად, იტალიის უზრუნველყოფს, რომ დაიცვას თავისი წყლები, რომელთათვის აღარ იქნება საჭირო საბრძოლო დანიშნულების გემების მიშველება.

**გერმანიამ შეაკეთა თავისი ფლოტი.**

გერმანიას აკრძალული აქვს თავისი საზღვაო ფლოტის გაძლიერება და გამრავლება ანტანტის ქვეყნებისაგან ვერსალის ხელშეკრულების ძალით. ამიტომ მას დარჩენია მხოლოდ ერთი: გადაახალისოს მის განკარგულებაში არსებული ძველი საზღვაო ძალები და ძველების გაფუჭებულ გემების მაგივრად ააშენოს ახალი.

ამ ჟამად გერმანიაში დაამთავრეს კრეისერ „ემდენი“-ს მოწყობა, რომელიც ჩაშვებული იქნება იანვარში.

ეს პირველი სამხედრო გემია, რომელიც დამზადებული იქნა გერმანიაში ომის შემდეგ.

მომავალი წლის დასაწყისში შეუდგებიან აგრეთვე ასეთივე ტიპის კრეისერის აგებას. საზღვაო სარდლობა სცდილობს ძველი ჯავშნოსნების შეცვლას ახალი ჯავშნოსნებით.

**ცოცხლად დამარხულები.**

ინგლისის საადმირალომ (საზღვაო სამინისტრო) გამოაქვეყნა ცნობა 12 ნოემბერს რომ წყალქვეშა ნავი “M 1“, რომელიც მონაწილეობას იღებდა ფლოტის პრაქტიკულ მეცადინეობაში, დაიკარგა უგზო უკვლოდ. უკანასკნელად ნახეს ის, როდესაც გადიოდა ზღვაზე სამეცადინოთ და ჩაყვინთა წყალში.

გაშვებული იქნენ ზღვაზე საძებრად სპეციალური გემები.

12 ნოემბერს აღმოაჩინეს ჩაძირული ნავი 12 ვერსის დაცილებით ნაპირიდან. ნავი იმყოფება 80 მეტრის სიმაღლეზე წყალში.

მის ამოსაღებად მუშაობა შეუძლებელი შეიქნა. ფიქრობენ, რომ ნავზე მოსამსახურეთა რაზმი დაიღუპა. შესაძლებელია ნავი დამტვრეული იქნეს, რადგან იმ ადგილზე, სადაც ჩაძირულია ნავი ზღვის ძირი კლდოვანია.

## ამბები სოფლებიდან.

**სოფ. საქარის** გლეხკომმა (შორ. მაზრა) ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოს გადასცა 35 მანეთი.

**მიწათმოწყობა.** ბორჩალოს ალმასკომმა გამოიმუშავა მიწათმოწყობის გეგმა 1926 წლისათვის.

**გამომძიებლების მუშაობა.** თელავის ალმასკომმა დაავალა საუბნო გამომძიებლებს გააძლიერონ თავიანთი მუშაობა სოფლებში.

**ბორჩალოს ალმასკომმა** დაადგინა დახმარება გაუწიოს კომკავშირის მდივნების გადასამზადებელ კურსებს.

**გლეხები კოოპერაციაში.** საქარის გლეხკომმა (შორ. მ.) ჩასწერა კოოპერატივების წევრებათ 57 ულარიბესი გლეხი.

**აფთიაქი სოფლად.** ჯანსახკომის თაოსნობით სოფ. კარაბოულში (ქუთ. მ.) გაიხსნა ახალი აფთიაქი.

## ახალი ამბები.

**სამხედრო ლიტერატურა.** 1925 წლის განმავლობაში მე-2 დივ. პოლიტგანყოფილებას გამოუცია სხვა და სხვა სახელწოდების წიგნები წითელ არმიელთათვის 40 ათას ცალამდე.

**მილიციელთა კურსები.** შინაგან საქმ. კომისარიატმა ტფილისში გახსნა მილიციის საშუალო შემადგენლობის გადასამზადებელი კურსები, რომელზედაც სწავლობს 50 კაცი.

**ომის ინვალიდები.** ამჟამად მთელ ტფილისში ირიცხება 470 ომის ინვალიდი.

**შოფერების კურსები.** ახლო ხანში ტფილისის ავტო-კლუბთან გაიხსნება შოფერების მოსამზადებელი კურსები.

— **ახალი ქარხანა.** ტფ. აღმასკომმა გადასწყვიტა ქალაქის სასაკლაოსთან მოაწყოს ძეხვის ქარხანა. ქარხნის მოწყობა ჯდება 40 ათასი მანეთი.

— **ფოსტა დიღომში.** ტფილისის ალმასკომმა დაადგინა სოფ. დიღომში გახსნას ფოსტის განყოფილება.

— **ტყიბულის** მაღაროების წარმოების გასადიდებლად წელს გადადებულია 85 ათასი მანეთი.

— **დახმარება უმუშევრებს.** საქ. დამზღვევი სალაროები ამჟამად ფულად დახმარებას აძლევენ 4.300 დაზღვეულს.

— **1905 წ.** რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავათ პროლეტკულტი შეუდგა სათანადო მზადებას.

## პასუხი შეკითხვებზე.

**ვ. ლ—ს.** თქვენი მამა თუ თქვენთან არ ცხოვრობს და თქვენს რჩენაზე არ იმყოფება, მაშინ საოჯახო ულუფა მამისათვის არ გერგებათ.

**№-ს.** ნაწილიდან მიღებული ტანსაცმელი ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურის საკუთრებას შეადგენს.

**გრ. სულაბერიძეს.** წ. ა. ოჯახების ავადმყოფ წევრებს უფლება აქვთ მოთავსდენ საავადმყოფოებში, სამშობიარო თავშესაფარში და სხ. და სარგებლობენ საექიმო დახმარებით დაზღვეულ მუშების და მოსამსახურეების ოჯახებთან საერთო წესით. (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტ. 24 წ.).

**მასვე.** თქვენ ორი კვირის ჯამაგირი უნდა მიიღოთ იმ დაწესებულებიდან, საცაც მსახურებდით ჯარში გაწვევამდე.

**ს—ძეს.** თქვენ ყოფილხართ დაბადებული 1902 წელს, მაგრამ გაუწვევიხართ 1903 წ. დაბადებულებთან ერთად, ვინაიდან მანამდი გისარგებლიათ შეღავათით. ამიტომ თქვენ უნდა იმსახუროთ 1903 წ. დაბადებულებთან ერთად, ე. ი. ორი წელიწადი ქვეითა ჯარში. თუ თქვენ მიღებული გაქვთ საშუალო განათლება, იმ შემთხვევაში შეგიძლიათ ერთი წლის სამსახურის შემდეგ ჩააბაროთ გამოცდები საშუალო მეთაურზე და წახვიდეთ უვადო შვებულებაში.

**გ. ერაძეს.** თქვენს შეკითხვაში არ არის აღნიშნული, რა თანამდებობა გიკავიათ ჯარში და რამდენს ღებულობთ ჯამაგირს, უ მისოთ კი შეუძლებელია გიპასუხოთ, თუ რამდენი უნდა იხადოთ ბინის ქირად.

**ლ. ჭელიძეს.** საერთოდ ოცეულის თავს კადრისაა ის თუ ტერნაწილის ეკუთვნის ერთი ოთხკუთხედი.

**ვეტ. ექიმ კ. ფარეიშვილს.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა 29 ოქტ. 1924 წ., წითელ ჯარში მოსამსახურე საექიმო და საზეიტლო შემადგენლობის პირთა შვილები პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში პირველ რიგში მიიღებიან და თავისუფლდებიან სწავლის ფულისაგან.

## მეცნიერება და ტექნიკა

**ქურდი ქურდისაგან იცავს თავს.**

ამერიკაში (ქალაქი ჩიკაგო) ბანკების დასაცავად ქურდებისაგან ხმარობენ ცრემლის მომგვრელ ქიმიურ გაზებს.

ხაზინის თითეულ კუთხეში, თითეულ გასავალში დადგმულია ასეთი გაზით დატენილი აპარატები. მოსამსახურეებს აქვთ გაზების საწინააღმდეგო ნიღაბი. პირველმა ცდებმა ძლიერ კარგი შედეგები მოიტანეს და დიდი ინტერესიც გამოიწვია ხალხში. გაზის გამოშვების დროს, ხაზინაში აყარება დაინტერესებული ხალხი იყო თავმოყრილი. მუშაობა შეწყვეტილი იქნა, რამოდენიმე ხნით.

მძარცველი კაპიტალისტები ასეთი წესებით იცავენ თავის ნადავლს.

**ჩაძირული საუნჯენი.**

როგორც საზღვარ გარეთული გაზეთები იტყობინებიან, ინგლისი და ამერიკა შეუდგენ ახალ ტეხნიკური საშვალებებით ომის დროს ჩაძირული გემების ამოღებას. როგორც ცნობილია ბევრი ისეთი გემები იქნენ ამ დროს ჩაძირული, რომლებზედაც აუარება ქონება-საუნჯენი იყო.

გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს იალქნიანი გემის—„კარლოს 1-ლის“ ამოსაღებათ, რომელიც ჩაძირული იქნა ჰოლანდიის ნაპირთან ჯერ კიდევ 1803 წელს. ამ გემზე იყო 100 მილიონი მანეთი ოქროთი, რომელიც ნაპოლეონმა გაგზავნა ჰოლანდიაში.

შოტლანდიის სანაპიროებთან სწარმოებს მუშაობა ინგლისურ ხომალდის „როიალ შარტერის“ ამოსაღებად, რომელზედაც იყო 375 მილიონი მანეთი ოქროთი. აფრიკის სანაპიროებთან კი სცდილობენ ჩაძირული ხომალდის „დოროთეას“ ამოღებას 100.000.000 ფრანკით. უკანასკნელად—კეთილი იმედის კონცხთანაც სწარმოებს მუშაობა 12 ჩაძირული ხომალდების ამოსაღებათ, რომლებიც დატვირთული იყვენ ძვირფასი ქვებით.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. შ. ლომიძეს** (ცხენ. ლეგ.) თქვენი მოგონება არ დაიბეჭდება.

**ამხ. სანდროშვილს** (მე-2 მესანგრე) თქვენი კორესპონდენცია „ესეც ძველი ნაშთია“, გადაეგზავნა ნაწილის უფროსს შესაფერი ზომების მისაღებათ.

**ამხ. ლ. ხახუტაშვილს** (მეთაურთა სკოლა) თქვენი კორესპონდენცია უვადო შვებულებაში წასულ არმიელების შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. გალაძეს** თქვენი წერილი გაუგებარია. მოიწერეთ გარკვევით.

**ამხ. ალაზნელს** (1-ლი ლეგიონი). კორესპონდენცია „მოაგვარეთ ესეც“ არ დაიბეჭდება. წვრილმანია.

**ამხ. ლომაძეს** (1-ლი ლეგიონი). თქვენი წერილი „რად არ ღებულობს მნე ზომებს“ გადაეგზავნა ლეგიონის სამხკომს.

**ამხ. ამხ. ა. იმერლიშვილს** (მე-4 ლეგ.) და ბურკაძეს: თქვენი კორესპონდენციები „ჩვენი ყაზარმა სკოლა არის“ და „ახალწვეულებზე“ არ გამოდგა. მოიწერეთ სხვაზე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხედრო პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები ა. ლ. კ. კავშირის წევრობიდან კ. პ. კანდიდატად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს 1) კაკაბაძე გიორგი ესტატეს ძეს, 2) დიასამიძე სულეიმან ისმაილის ძეს და 3) უპარტიო ბაცივაძე გიორგი ლუარსაბის ძეს. გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო ზემოაღნიშნული ამხ. ამხ. შესახებ, გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის პ. გ. მდ. ხუხუა.

1-ლი საარტილერიო ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) ოსიპოვ გიორგი იოკიმის-ძეს (ახალქალაქის მაზ. სოფ. ეშტა). 2) ლაცაბიძე გრიგოლ ილიას-ძეს (შორაპნის მაზ. სოფ. ნებოძითი). 3) კვირიკაშვილ გერონტი ერასტის-ძეს (შორაპნის მაზ. სოფ. წიფა). თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათი მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ 10-დღეში, შემდეგი მისამართით:

1-ლი საარტილერიო ლეგიონის ბიურო-კოლექტივი.


## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.




სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.